



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 16
2011 წ. 18 ავგვისტო
ქ. თბილისი

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2011 წლის
კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის პირობებისა და პროექტის წარმომდგენი
იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადების ფორმის
დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს
კანონის 24¹ მუხლის, „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო
გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84
დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28
ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის
„ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის 10 დეკემბრის №02
ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2011 წლის 18 მარტს „ფუნდამენტური კვლევებისათვის
სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2011 წლის კონკურსი.“
2. დამტკიცდეს „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო
გრანტების 2011 წლის კონკურსის“ პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის
შესაბამისად.
3. დამტკიცდეს „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო
გრანტების 2011 წლის კონკურსის“ პროექტის წარმომდგენი იურიდიული და

ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

4. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მფ-12 კმ., №6).

სულხან სისაური

